

## ტესტი N1 (რიცხვები 1000-ის ფარგლებში)

1. რომელი რიცხვია ჩაწერილი თანრიგების ჯამის სახით?

1)  $376 = 300 + 60 + 16$

3)  $798 = 700 + 80 + 8$

2)  $941 = 900 + 30 + 11$

4)  $535 = 500 + 30 + 5$

2. სამნიშნა რიცხვში ასეულების ციფრი 3 შეცვალეს 2-ით და ათეულების ციფრი 2 კი 1-ით. რამდენით შემცირდა თავდაპირველი სამნიშნა რიცხვი?

1) 100-ით

2) 120-ით

3) 110-ით

4) 130-ით

3. რიცხვი 134 სანდრომ ასე გამოსახა:  $\Delta \square \square \square \parallel \parallel \parallel$ . როგორ გამოსახავდა სანდრო რიცხვ 325-ს?

1)  $\Delta \Delta \square \square \parallel \parallel \parallel \parallel$

3)  $\Delta \Delta \Delta \square \square \parallel \parallel \parallel \parallel$

2)  $\Delta \Delta \Delta \square \parallel \parallel \parallel$

4)  $\Delta \Delta \square \square \square \parallel \parallel \parallel$

4. რომელია სწორი?


1) 3 ოცეული, 8 ასეული და 7 სამეული მეტია 900-ზე

2) 8 ოცეული, 3 ასეული და 8 ხუთეული ნაკლებია 400-ზე

3) 1 ათეული, 8 ასეული და 7 ერთეული მეტია 900-ზე

4) 3 ათეული, 5 ასეული და 4 ერთეული ნაკლებია 500-ზე

5. რიცხვით ღერძზე რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?



1) 600

2) 700

3) 800

4) 400

6. რომელია 347-ის უახლოესი ასეული?

1) 300

2) 340

3) 400

4) 440

7. რამდენი ციფრი შეიძლება ჩაიწეროს \*-ის ნაცვლად:

$7 * 4 < 751$ , რომ მივიღოთ სწორი უტოლობა?

- 1) 3                      2) 4                      3) 5                      4) 6

8. რიცხვებიდან: 175, 210, 570, 855, 720, 600, რამდენი მრგვალი სამნიშნა რიცხვია?

- 1) 4                      2) 2                      3) 3                      4) 5

9. რომელ რიცხვში აღნიშნავს ციფრი 5 ხუთ ასეულს?

- 1) 715                      2) 517                      3) 151                      4) 751

10. დაალაგე კლების მიხედვით: 405, 345, 354, 315, 450 და დაწერე მეოთხე რიცხვი. კენტია თუ ლუწი იგი? რამდენი ასეულია მასში?

11. ჩაწერეთ  $>$ ,  $<$ ,  $=$  ნიშნები სათანადო ადგილზე:

$347 \dots 297$                        $453 \dots 478$

$230+4 \dots 200+30+4$                        $754+23 \dots 754-23$

12. • რიცხვში 985 წაშალეს ერთეულების ციფრი, მაშინ მოცემული რიცხვი შემცირდება . . . . . -ით

• რიცხვში 985 წაშალეს ათეულების ციფრი, მაშინ მოცემული რიცხვი შემცირდება . . . . . -ით

• რიცხვში 985 წაშალეს ასეულების ციფრი, მაშინ მოცემული რიცხვი შემცირდება . . . . . -ით

## ტესტი №2 (შპრება-გამოკლება 1000-ის ფარგლებში)

1. რომელ უჯრაში შეიძლება ჩავწეროთ „ < “-ის ნიშანი?

1)  $587 + 12 \square 512 + 103$

3)  $925 + 60 \square 824 + 80$

2)  $604 + 80 \square 200 + 300$

4)  $876 + 18 \square 125 + 694$

2. მარიმ რიცხვების გამოკლებისას მაკლების ათეულების რიცხვი 7 შეცვალა 2-ით და მიიღო შედეგად 160. რა რიცხვი უნდა მიეღო მარის გამოკლებისას, რომ არ შეეცვალა ათეულების რიცხვი?

1) 125

2) 110

3) 115

4) 120

3. ნინომ ორი რიცხვის შეკრებისას, პირველი შესაკრები გაზარდა 19-ით, ხოლო მეორე შესაკრები შეამცირა 17-ით და პასუხად მიიღო 154. რისი ტოლია თავდაპირველი ჯამი?

1) 156

2) 154

3) 152

4) 150

4. საკლები გაზარდეს 180-ით და მაკლები შეამცირეს 130-ით. რამდენით გაიზარდა სხვაობა?

1) 50-ით

2) 310-ით

3) 320-ით

4) 40-ით

5. 1 ათასეული შეამცირეს 4 ასეულით და 7 ათეულით და მიიღეს:

1) 500

2) 700

3) 530

4) 730

6. რას უდრის უდიდესი სამნიშნა რიცხვისა და მისი ციფრთა ჯამის სხვაობა?

1) 997

3) 974

2) 998

4) 972

7. რიცხვში 751 წაშალეს ასეულების ციფრი. რამდენით შემცირდა მოცემული რიცხვი?

1) 200-ით

2) 700-ით

3) 250-ით

4) 750-ით

8. ნინიმ პირველ დღეს წაიკითხა 200-გვერდიანი წიგნის ნახევარი, მეორე დღეს კიდევ რამდენიმე გვერდი და ამის შემდეგ წასაკითხი დარჩა 60 გვერდი. რამდენი გვერდი წაიკითხა ნინიმ მეორე დღეს?
- 1) 45                                      2) 30                                      3) 35                                      4) 40
9. სოფიომ წაიკითხა წიგნში მოთხრობა 144-ე გვერდიდან 257-ე გვერდის ჩათვლით. რამდენი გვერდი წაიკითხა სოფიომ?
10. ოთხი მეგობრის წლოვანებათა ჯამი 164 წელია. რა იქნებოდა მათი წლოვანებათა ჯამი 3 წლის წინ? 4 წლის შემდეგ?
11. ჩაწერე რიცხვი, რომელიც:
- ❖ იმდენითაა ნაკლები 60-ზე, რამდენითაც მეტია 50-ზე;
  - ❖ იმდენითაა ნაკლები 600-ზე, რამდენითაც მეტია 500-ზე;
12. ჩაწერე შესაბამისი რიცხვითი ტოლობები:
- 125 მეტია 100-ზე 25-ით
  - 234 ნაკლებია 320-ზე 86-ით
  - 300 მეტია 240-ზე 60-ით
  - 430 ნაკლებია 500-ზე 70-ით

### ტესტი №3 (გამრავლება-გაყოფა)

1.  $15 \cdot 4 + 21 \cdot 3 =$

1) 143

2) 140

3) 123

4) 125

2. 7 ერთნაირ ყუთში 56 კუბიკი დევს. რამდენი კუბიკი დევს 9 ასეთივე ყუთში?

1) 63

2) 72

3) 56

4) 49

3. რამდენ ციფრს გამოიყენებდა ნინო 36-გვერდიანი წიგნის გადასანომრად?

1)  $9 + 2 \cdot 26$

2)  $9 + 2 \cdot 27$

3)  $9 + 3 \cdot 27$

4)  $9 + 26$

4. ნინიმ თქვა: რიცხვს შევუსაბამე მასზე 5-ჯერ მეტს გამოკლებული 120. რომელი პასუხობს ნინის ნათქვამს?

1)  $18 \rightarrow 18 \cdot 5 + 120$

3)  $17 \rightarrow 17 : 5 - 120$

2)  $25 \rightarrow 25 \cdot 5 + 120$

4)  $26 \rightarrow 26 \cdot 5 - 120$

5. რომელი გამოსახულება არღვევს კანონზომიერებას?




1)  $12 : 2 + 12$

2)  $38 : 2 + 38$

3)  $64 : 2 + 64$

4)  $82 \cdot 2 + 82$


6. რიცხვით ღერძზე დაწერე გამოტოვებული რიცხვები:




7. მოსწავლეებმა 6 დღეში 72 ხე დარგეს. იგივე ტემპით რომ იმუშაონ, რამდენ დღეში დარგავენ 120 ხეს?
8. დაწერე შესაბამისი რიცხვითი გამოსახულება:
- ☀ 27-ისა და 54-ის ჯამი გაამრავლე 5-ზე;
  - ☀ 3-ისა და 8-ის ნამრავლს მიუმატე 72-ისა და 9-ის განაყოფი;
  - ☀ პირველი თანამამრავლია 8-ისა და 2-ის ჯამი, ხოლო მეორე 8;
  - ☀ გასაყოფია 40-ისა და 10-ის სხვაობა, ხოლო გამყოფია 10.
9. ანა 30 წლისაა. მომავალ წელს ნიკა ანაზე 3-ჯერ უფროსი იქნება. რამდენი წლისაა ახლა ნიკა?
10. ყუთში 170 ბურთია. ნიკამ ყუთიდან ამოიღო 50 ბურთი, ხოლო დანარჩენი კი თავის მეგობრებს დაურიგა, თითოეულს 3 ცალი. რამდენ მეგობარს მისცა ბურთები ნიკამ?
11. ჩასვი შესაბამისი  $>$ ,  $<$ ,  $=$  ნიშნები:
- |                                  |  |
|----------------------------------|--|
| $80 \cdot 5 \square 90 \cdot 3;$ | $90 \cdot 7 \square 90 + 7;$                   |
| $50 \cdot 6 \square 60 \cdot 5;$ | $(90 + 70) \cdot 0 \square 80 \cdot 0;$        |
| $80 \cdot 9 \square 30 \cdot 9;$ | $(30 + 40) \cdot 1 \square (30 + 40) \cdot 0.$ |
12. ჩასვი სათანადო რიცხვები:
- |                         |                                |                                |
|-------------------------|--------------------------------|--------------------------------|
| $\square \cdot 1 = 15;$ | $8 \cdot 1 > 9 \cdot \square;$ | $5 \cdot 3 > 8 \cdot \square;$ |
| $200 : \square = 1;$    | $320 < 360 : \square;$         | $209 : \square = 209;$         |

### ტესტი №4 (გეომეტრიული ფიგურები)

1. რამდენი სამკუთხედი არსებობს, რომელთა სამივე წვერო სხვადასხვა წრფეებზეა?



- 1) 3                                      2) 4                                      3) 5                                      4) 6
2. მართკუთხედის სიგრძეა 12 დმ, სიგანე კი მისი ნახევარი. რას უდრის ამ მართკუთხედის პერიმეტრი?
- 1) 30 დმ                                      2) 35 დმ                                      3) 36 დმ                                      4) 40 დმ
3. რა სიგრძის ღობეა საჭირო ამ ფორმის მიწის ნაკვეთის შემოსაღობად?



- 1) 40მ                                      2) 50მ                                      3) 60მ                                      4) 70მ
4. რამდენი მონაკვეთია სურათზე?



- 1) 3                                      2) 5                                      3) 7                                      4) 9


5. ეკამ დახატა 6 სამკუთხედი. ნინოს მიერ დახატულ ოთხკუთხედებს 22-ით მეტი წვერო აქვს, ვიდრე ეკას მიერ დახატულ სამკუთხედებს. რამდენი ოთხკუთხედი დახატა ნინომ?

- 1) 10                                      2) 12                                      3) 14                                      4) 16

5. ნიკოს ეზოს მართკუთხედის ფორმა აქვს, რომლის სიგრძე 50მ-ია, ხოლო სიგანე 20მ. მან ორმაგი ღობე შემოავლო ეზოს. სულ რა სიგრძის ღობე დასჭირდებოდა ნიკოს?


- 1) 140მ                                      2) 240მ                                      3) 280მ                                      4) 170მ

6. რომელი სივრცითი ფიგურის მიღება შეიძლება თითოეულისგან?



6. რას უდრის:

- 1) სამკუთხა პირამიდის წვეროებისა და წახნაგების ჯამი?
- 2) ოთხკუთხა პირამიდის წვეროებისა და წიბოების ჯამი?
- 3) ოთხკუთხა პირამიდის წიბოების და წახნაგების ჯამი?



7. საბამ 5 ერთნაირი კვადრატი მიაღვა ერთმანეთს და მიიღო მართკუთხედი, რომლის პერიმეტრია 60სმ. გამოთვალე კვადრატის პერიმეტრი.




8. დახაზე ხუთკუთხედი და მართკუთხედი ისე, რომ მათ ჰქონდეთ საერთო:

- 1) გვერდი;    3) სამკუთხედი;    4) ოთხკუთხედი;    5) ხუთკუთხედი.



10. რამდენი გვერდი აქვს ამ მრავალკუთხედს? რამდენი წვერო? მონიშნე მის შიგნით 4 წერტილი, გარეთ 3 წერტილი, გვერდებზე 6 წერტილი.



11. ექვსკუთხედის ყველა გვერდი ტოლია და მისი პერიმეტრი 120 დმ-ია. რას უდრის იმ კვადრატის პერიმეტრი, რომლის გვერდი მოცემული ექვსკუთხედის გვერდის ტოლია? პასუხი ახსენი
12. კუბის ერთი წიბოს სიგრძე 8 სმ-ია. მაშინ კუბის:
- ✓ ერთი წახნაგის პერიმეტრი . . . . . სმ-ის ტოლია
  - ✓ ყველა წიბოს სიგრძეთა ჯამი . . . . . სმ-ის ტოლია
12. შენს გარშემო რომელი საგანია მართკუთხა პარალელებიპედის ფორმის? რამდენი წვერო აქვს მართკუთხა პარალელებიპედს? რამდენი წიბო? რამდენი წახნაგი?

## ტესტი №5 (სიდიდე - ქართული ფული)

1. 4 ცალი ნაყინის საყიდლად ანას დააკლდა 60 თეთრი; მან იყიდა 3 ცალი ნაყინი და დარჩა 30 თეთრი. რა ღირს ერთი ცალი ნაყინი?  
1) 60 თეთრი      2) 70 თეთრი      3) 80 თეთრი      4) 90 თეთრი
2. დათომ 15 ბურთში 18 ლარით მეტი გადაიხადა, ვიდრე ლუკამ 12 ასეთივე ბურთში. რა ღირს 1 ბურთი?  
1) 8                      2) 7                      3) 6                      4) 5
3. როცა ნიკამ იყიდა ბურთი 43 ლარად და მაისური 35 ლარად, ამის შემდეგ ნიკას დარჩა 15 ლარი. სულ რამდენი ლარი ჰქონდა ნიკას თავდაპირველად?  
1) 93                      2) 94                      3) 95                      4) 96
4. დედამ მარკეტში შეიძინა 2 ბოთლი ზეთი, თითოეული 5 ლარად; 4 ცალი საპონი, თითოეული 2 ლარად და 2 ცალი შამპუნი, თითოეული 14 ლარად. რამდენ ლარს მიიღებდა დედა ხურდას, თუ გამყიდველს 50-ლარიანი მიაწოდა?  
1) 8 ლარს              2) 4 ლარს              3) 6 ლარს              4) 7 ლარს
5. დათოს აქვს 25 ლარი, ხოლო თორნიკეს 16 ლარი. დათომ იმდენი ლარი დახარჯა, რამდენიც თორნიკეს მისცა დედამ. რამდენი ლარი დარჩა დათოს, თუ თორნიკეს 30 ლარი გაუხდა?  
1) 16                      2) 14                      3) 10                      4) 11
6. მორის ორ ნაწილად გახერხვაში 10 ლარი გადაიხადეს. რამდენ ლარს გადაიხდიან მორის ოთხ ნაწილად გახერხვაში?  
1) 30 ლარს      2) 20 ლარს      3) 35 ლარს      4) 45 ლარს

7. ეკას აქვს 3 ცალი 10-თეთრიანი, 2 ცალი 5-თეთრიანი, 3 ცალი 20-თეთრიანი. მან თეას 2 ცალი მონეტის გარდა ყველა მონეტა მისცა. ყველაზე დიდი თანხა, რა შეიძლება მიეცა ეკას თეასთვის?
- 1) 90 თეთრი      2) 80 თეთრი      3) 95 თეთრი      4) 85 თეთრი
8. მარის ჰქონდა 45 ლარი. მან იყიდა თოჯინა და სათამაშო მანქანა. თოჯინაში გადაიხადა 15 ლარი, ხოლო სათამაშო მანქანაში 7 ლარით მეტი. რა თანხა დარჩა ამის შემდეგ მარის?
9. მამა ყოველდღე ხარჯავს 20 ლარს. 7 დღის შემდეგ მას დარჩა 170 ლარი. რამდენი ლარი ჰქონდა მამას თავდაპირველად?
10. ანამ იყიდა 2კგ ხორცი, 1კგ 18 ლარად და 3კგ ყველი, 1კგ 9 ლარად. მან გამყიდველს მიაწოდა 100-ლარიანი. რამდენია დასაბრუნებელი ხურდა?
11. ნინომ 200 ლარად 4 ერთნაირი კაბა იყიდა. რამდენ ლარს გადაიხდიდა ნინო 5 ასეთივე კაბაში?
12. ეკას ჰქონდა 50 ლარი და ეკას მისცა 10 ლარი. როცა ეკამ დახარჯა 4 ლარი, ამის შემდეგ ეკასა და ეკას თანაბარი რაოდენობის თანხა აღმოაჩნდათ. რა თანხა ჰქონდა თავდაპირველად ეკას?



6. 3დმ სიგრძის ჯოხის 10სმ-იანი ნაწილი ნინომ წითლად გააფერადა, დანარჩენი კი მწვანედ. იპოვეთ ჯოხის მწვანე ნაწილის სიგრძე.
7. 8–მეტრიანი მორი უნდა დაიხერხოს 2–მეტრიან მორებად. ერთ გადახერხვას სჭირდება 5 წუთი. რამდენი წუთი დასჭირდება ამ სამუშაოს შესრულებას?
8. მამის ნაბიჯის სიგრძეა 80სმ, ხოლო შვილის 40სმ. რამდენი ნაბიჯი უნდა გადადგას შვილმა, რომ მამის ორი ნაბიჯის სიგრძის მონაკვეთი გაიაროს?
9. გიორგის გასავლელი აქვს 100კმ-ის სიგრძის გზა. პირველ დღეს მან გაიარა 40კმ, ხოლო მეორე დღეს დარჩენილი გზის ნახევარი. რამდენი კმ დარჩა გასავლელი გიორგის?
10. ჩაწერე ცარიელ უჯრაში სათანადო რიცხვი:  
 8მ 9დმ 4სმ =  სმ;                      8დმ 4სმ 8მმ =  მმ;  
 9მ 8დმ 2სმ =  სმ;                      4მ 9დმ 4მმ =  მმ.
11. ჩაწერე  $>$ ,  $<$ ,  $=$  ნიშნები ცარიელ უჯრებში:  
 1მ 5დმ  2მ 3დმ;                      1მ 20სმ  12დმ;  
 25სმ  2დმ 5სმ;                      1დმ 3მმ  5სმ 8მმ.
12. სამკერვალოში ჰქონდათ 84 მ ქსოვილი. 40 მ ქსოვილისგან შეკერეს საბავშვო კოსტიუმები, ხოლო დანარჩენი ქსოვილისგან კი 22 ერთნაირი პალტო. რამდენი მეტრი ქსოვილი დასჭირდათ ერთი პალტოს შესაკერად?

## ტესტი №7 (დრო)

- რა დღე იყო გუშინწინ, თუ ზეგ სამშაბათია?  
1) შაბათი      2) პარასკევი      3) ხუთშაბათი      4) ოთხშაბათი
- ანა ფილარმონიაში კონცერტის დაწყებამდე 1 საათით ადრე მივიდა, ხოლო მართა 2 საათით გვიან ანაზე. რომელ საათზე მივიდა მართა ფილარმონიაში, თუ კონცერტი 19 : 00-ზე დაიწყო?  
1) 18 : 00      2) 19 : 00      3) 20 : 00      4) 17 : 00
- ერთი გაკვეთილი 40-წუთიანია, გაკვეთილებს შორის შესვენება კი 10-წუთიანია. რამდენი წუთი გავა პირველი გაკვეთილის დაწყებიდან მესამე გაკვეთილის დაწყებამდე?  
1) 100 წთ      2) 90 წთ      3) 85 წთ      4) 80 წთ
- სპორტული შეჯიბრი უნდა დაწყებულიყო 18 : 00 სთ-ზე და დაიწყო 1 საათით ადრე და გაგრძელდა 2 სთ და 30 წთ. რომელ საათზე დამთავრდა სპორტული შეჯიბრი?  
1) 18 : 00      2) 19 : 30      3) 20 : 30      4) 21 : 30
- რაგბის თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე მივიდა ირაკლი სტადიონზე, ხოლო ირაკლიზე 2 საათით ადრე გიორგი. რომელ საათზე მივიდა სტადიონზე გიორგი, თუ რაგბის თამაშის დაწყება დღის 2 საათზეა დანიშნული?
- მათემატიკის გაკვეთილი 9 საათზე დაიწყო და დასრულდა 10-ს რომ უკლდა 20 წუთი. რამდენი წუთი მიმდინარეობდა გაკვეთილი?
- ნიკამ გაკვეთილების მომზადებას 2სთ მოანდომა, ხოლო ირაკლიმ 25 წუთით ნაკლები. რა დროში მოამზადა ირაკლიმ გაკვეთილები?
- 12 წლის წინ მარი 15 წლის იყო. რამდენ წელიწადში გახდება მარი 35 წლის? 40 წლის?

9. თეკლას და ნინოს ასაკთა ჯამი 2 წლის შემდეგ 70 წელი იქნება. რა იქნება მათი ასაკთა ჯამი ახლა? რა იყო მათი ასაკთა ჯამი 7 წლის წინ?
10. ავტობუსი სადგურიდან ქალაქისკენ გავიდა 8 საათსა და 20 წუთზე და ქალაქში ჩასვლას მოუწია 4 საათი და 15 წუთი. რომელ საათზე ჩავიდა ავტობუსი ქალაქში?
11. ახლა დღის 3 საათია. რა დრო იყო 4 საათის წინ? 5 საათის წინ? 6 საათის წინ? რა დრო იქნება 2 საათის შემდეგ? 8 საათის შემდეგ?
12. ახლა 11-ის 10 წუთია. რა დრო იქნება 30 წუთის შემდეგ? 40 წუთის შემდეგ? 3 საათის შემდეგ? 4 საათის შემდეგ?



## ტესტი N8 (სიდიდე-მასა)

1. სასწორის ერთ თევშზე დევს 5 კგ-იანი საწონი, მეორეზე 2კგ-იანი საწონი. რამდენკილოგრამიანი საგანი უნდა დაედოთ მეორე თევშზე, რომ სასწორი გაწონასწორდეს?




- 1) 7                                      2) 5                                      3) 3                                      4) 1
2. 9 ტომარა 30 კგ-იანი ფქვილი 3 ოჯახს თანაბრად გაუნაწილეს. რამდენი კგ ფქვილი შეხვდა თითოეულ ოჯახს?
- 1) 80                                      2) 90                                      3) 75                                      4) 85
3. მაღაზიაში გაიყიდა 141 კგ კარტოფილი და ამის შემდეგ დარჩა 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე გაყიდეს. რამდენი კგ კარტოფილი იყო მაღაზიაში თავდაპირველად?
- 1) 168                                      2) 188                                      3) 158                                      4) 178
4. მაღაზიის გამყიდველს 440 კგ ვაშლის ჩაწყობა სურდა 8 ერთნაირ ყუთში. როცა მან 8 ყუთი გააგსო, დარჩა ჩაუწყობელი 40 კგ ვაშლი. რამდენი კგ ვაშლი ჩააწყო გამყიდველმა 1 ყუთში?
- 1) 60 კგ                                      2) 50 კგ                                      3) 40 კგ                                      4) 30 კგ
5. ცხენი 1 დღეში ჭამს 10 კგ თივას. რამდენი დღე ეყოფა ამავე ცხენს 70 კგ თივა?
- 1) 6                                      2) 7                                      3) 8                                      4) 9
6. მას შემდეგ რაც მაღაზიამ გაიყიდა 314 კგ კარტოფილი, მაღაზიაში დარჩა გაყიდული კარტოფილის ნახევარი. სულ რამდენი კგ კარტოფილი იყო მაღაზიაში?
- 1) 469                                      2) 471                                      3) 470                                      4) 472



7. ერთი ნესვი 4 კგ-ით მძიმეა მეორეზე და 5 კგ-ით მსუბუქი მესამეზე. რამდენით მძიმეა მესამე ნესვი მეორეზე?

- 1) 8 კგ-ით      2) 5 კგ-ით      3) 9 კგ-ით      4) 6 კგ-ით

8. საზამთრო იწონის ნახევარ საზამთროს და 8კგ-იან საწონს. რამდენ კგ-ს იწონის საზამთრო?



9. ნიკა 23კგ-ით მსუბუქია სანდროზე და 14კგ-ით მძიმეა ლუკაზე. რომელია უფრო მძიმე, სანდრო თუ ლუკა? რამდენი კილოგრამით?


10. 200კგ ვაშლი თანაბრად ჩააწყვეს 10 ერთნაირ ყუთში. რამდენი ყუთი იქნება საჭირო 300კგ ვაშლისათვის? 400კგ ვაშლისათვის?

11. ერთი საზამთრო მეორე საზამთროს ნახევარია. ორივე ერთად იწონის 18 კგ-ს. რას იწონის თითოეული საზამთრო? პასუხი ახსენი.

12. წითელი ბურთი მძიმეა მწვანე ბურთზე და მსუბუქია წითელ ბურთზე. რომელი ბურთია ყველაზე მძიმე? ყველაზე მსუბუქი?

## ტესტი №9 (ორიენტირება და მიმართულება)

სურათის მიხედვით უპასუხე 1-3 კითხვას:



1. საზამთროს კოორდინატებია:

- 1) (ბ; 2)                      2) (2; ბ)                      3) (ბ; 6)                      4) (2; დ)

2. რომელი საგნის კოორდინატებია (6; ე)?


- 1) სტაფილოს    2) კვადრატის    3) ხუთკუთხედის    4) წრის

3. ჩახატე სამკუთხედი ისე, რომ მისი კოორდინატები იყოს: (4; ზ)

4. ბაჭია რომ მივიღეს სტაფილომდე, ამისთვის უნდა იაროს:


- 1) მარცხნივ 4 უჯრა და შემდეგ ზევით 7 უჯრა  
 2) მარჯვნივ 2 უჯრა და შემდეგ ზევით 3 უჯრა  
 3) მარჯვნივ 4 უჯრა და შემდეგ ზევით 7 უჯრა  
 4) მარცხნივ 2 უჯრა და შემდეგ ზევით 3 უჯრა

5. რომელია „რიცხვით კიბეზე“ გამოტოვებული რიცხვი?



- 1) 40                      2) 41                      3) 42                      4) 43

6. რიცხვით ღერძზე აღნიშნულია რიცხვები. რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?



- 1) 180                      2) 170                      3) 160                      4) 140

7. რიგში ლადოს წინ 3-ჯერ მეტი მოსწავლეა, ვიდრე ლადოს უკან. სულ რიგში რამდენი მოსწავლეა, თუ ლადო რიგში მეთექვსმეტეა?


- 1) 30                      2) 31                      3) 18                      4) 21

8. ბავშვები ერთ მწკრივად დგანან. აღმოჩნდა, რომ ნიკა მწკრივში მეშვიდეა. ზურა ნიკას შემდეგ დგას მწკრივში და იგი ბოლოდან მეათეა. ნიკასა და ზურას შორის 3 გოგონა დგას. სულ რამდენი ბავშვია მწკრივში?

- 1) 23                      2) 22                      3) 20                      4) 21


9. სართულებს შორის ერთნაირი რაოდენობის საფეხურია. მერვე სართულიდან მეორემეტე სართულზე ასვლისას ნიკამ გაიარა 80 საფეხური. რამდენ საფეხურს გაივლის ნიკა მეხუთე სართულიდან მეცხრე სართულზე ასვლისას?

10. მონაკვეთი თანაბრად არის დაყოფილი. ჭიანჭველა მოძრაობს მონაკვეთზე და პირველი წერტილიდან მესამე წერტილამდე გაიარა 10მ. რამდენ მ-ს გაივლის ჭიანჭველა:




- ☀ პირველი წერტილიდან მე-7 წერტილამდე?
- ☀ მე-3 წერტილიდან მე-10 წერტილამდე?
- ☀ A წერტილიდან B წერტილამდე?

11. ერთი ჭიანჭველა მოძრაობს მკრთალ ხაზზე, მეორე კი მუქ ხაზზე. რომელი მოასწრებს B -ში მისვლას, თუ ისინი ერთნაირი სისწრაფით მოძრაობენ და ამასთან, ერთსა და იმავე დროს იწყებენ მოძრაობას A-დან? პასუხი ახსენი.



12. ერთი ხოჭო მოძრაობს მკრთალ ხაზზე (A-დან B-სკენ, B-დან C-სკენ, და შემდეგ D-სკენ), მეორე – მუქ ხაზზე. რომელმა გაიარა მეტი გზა? პასუხი ახსენი.



## ტესტი №10 (მონაცემი, მონაცემთა ანალიზი)

1. მოიფიქრე რაიმე წესი და დააჯგუფე ნივთები ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაარქვი საერთო სახელი.



2. მოცემული ფიგურები დააჯგუფე რაიმე ნიშნის მიხედვით:



3. მოცემული რიცხვები დააჯგუფე რაიმე წესის მიხედვით:  
14; 500; 150; 1152; 512; 8164; 716; 128; 19; 371; 234  
1) ორ ჯგუფად  
2) სამ ჯგუფად

4. ლაღიმ გამოკითხა მისი თანაკლასელები, თუ ვის როგორი ფერი უყვარს და შეავსო პიქტოგრამა.

ჩემი საყვარელი ფერი	
წითელი	● ● ● ● ● ● ● ●
თეთრი	● ● ● ●
ყვითელი	● ●
ლურჯი	●
მწვანე	● ● ● ●

- სულ რამდენი მოსწავლე გამოიკითხა?
- გამოკითხულთაგან უმრავლესობას რომელი ფერი უყვარს?
- რამდენ მოსწავლეს უყვარს თეთრი ფერი?
- რამდენი მოსწავლეთ მეტს უყვარს თეთრი ფერი, ვიდრე ლურჯი? როგორ მიხვდი?
- გამოკითხულთაგან რამდენ მოსწავლეს არ უყვარს მწვანე ფერი? ყვითელი ფერი?

5. ცხრილში მოცემულია ერთ-ერთ საკურორტო ბაზაზე ტურისტების რაოდენობა თვეების მიხედვით:

სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი
100	200	150	500	900

- ❖ რომელ თვეში ესტუმრა ყველაზე მეტი ტურისტი კურორტს?
- ❖ სექტემბერში უფრო მეტი ტურისტი ესტუმრა კურორტს თუ იანვარში? რამდენით?
- ❖ რომელ თვეში იყო ტურისტთა რაოდენობა ყველაზე მცირე?
- ❖ რომელ თვეში იყო ტურისტთა რაოდენობა 150-ზე ნაკლები?
- ❖ რომელ თვეში იყო ტურისტთა რაოდენობა 800-ზე მეტი?

6. პიქტოგრამის მიხედვით უპასუხე კითხვებს:



- ❖ რამდენი მონეტა აქვს ანას?
- ❖ რამდენი მონეტა აქვს ლილეს?
- ❖ ვის უფრო მეტი მონეტა აქვს და რამდენით?
- ❖ ვის უფრო მეტი თანხა აქვს და რამდენით?
- ❖ რამდენი თეთრი აქვთ ანასა და ლილეს ერთად?
- ❖ როგორ მოვიქცეთ, რომ ანასა და ლილეს თანხები გავათანაბროთ?

7. ერთ-ერთი სკოლის მესამეკლასელები გამოკითხეს იმის შესახებ, თუ ვის რომელი სპორტი უყვარდა. მონაცემები მოათავსეს ცხრილში. "○" უჩვენებს 5 მოსწავლეს, „|“ – ერთ მოსწავლეს. შეავსე ცხრილის ბოლო სვეტი. ჩაწერე შესაბამისი ოდენობები.

ფეხბურთი	○○○○	
ხელბურთი	○○○	
კალათბურთი	○○	
ჭადრაკი	○	

8. ცხრილში მოცემულია რომელიღაც წლის თებერვლის კალენდარი. უპასუხე კითხვებს:

თებერვალი					
ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	
ოთხშაბათი	2	9	16	23	
ხუთშაბათი	3	10	17	24	
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	

- ❖ რა დღეა 9 თებერვალი? 4 თებერვალი? 27 თებერვალი?
  - ❖ რა დღეა 5 თებერვლის წინა დღე? მომდევნო დღე?
  - ❖ რა რიცხვია თებერვლის პირველი ხუთშაბათი? მეორე ხუთშაბათი? მეოთხე ხუთშაბათი?
  - ❖ რამდენი შაბათია თებერვლის ამ თვეში?
  - ❖ რომელიმე დღე არის 5-ჯერ?
9. ცხრილში მოცემულია მაღაზიის მიერ 1 კვირის განმავლობაში გაყიდული „ბორჯომის“ წყლისა და ლიმონათის რაოდენობა ბოთლებში.

	„ბორჯომი“	ლიმონათი	სულ
ორშაბათი	10	205	
სამშაბათი	150		300
ოთხშაბათი	200	200	
ხუთშაბათი	80	60	
პარასკევი	120	200	
შაბათი	120		400
კვირა		200	300

შეავსე ცხრილი ბოლომდე და უპასუხე კითხვებს:

- ❖ სულ რამდენი ბოთლი „ბორჯომის“ წყალი გაიყიდა მთელი კვირის განმავლობაში? ლიმონათი?
- ❖ რომელ დღეს გაიყიდა ლიმონათისა და „ბორჯომის“ წყალი ერთი და იმავე რაოდენობის?
- ❖ სამშაბათს რამდენი ბოთლი ლიმონათი გაიყიდა? „ბორჯომის“ წყალი?
- ❖ შაბათს ლიმონათი რამდენი ბოთლი გაიყიდა?
- ❖ კვირას „ბორჯომის“ წყალი რამდენი გაიყიდა?

10. ჩაატარე გამოკითხვა კლასში, ვინ როდისაა დაბადებული და მონაცემები შეიტანე ცხრილში და უპასუხე კითხვებს:

- ✿ გაზაფხულზე ვინ დაიბადა? ზამთარში? ზაფხულში? შემოდგომაზე?
- ✿ ერთსა და იმავე რიცხვში ვინ დაიბადა?
- ✿ ერთსა და იმავე თვეში ვინ დაიბადა?

11. მაისის თვეში აკვირდებოდნენ ამინდს და შედეგები მოათავსეს ცხრილში:

მზიანი	18	
ღრუბლიანი	7	
წვიმიანი	6	

შეეცადე, შეადგინო პიქტოგრამა ამ მონაცემების მიხედვით. 5 დღე აღვნიშნოთ „○“-ით, ხოლო ერთი დღე „|“-ით. მაგალითად, 8 - ○|||.

- ✿ რომელი დღეები იყო უფრო მეტი: მზიანი, ღრუბლიანი თუ წვიმიანი?
- ✿ მზიანი დღეები რამდენით მეტი იყო ღრუბლიან დღეებზე?
- ✿ წვიმიანი დღეები რამდენით ნაკლები იყო მზიან დღეებზე?
- ✿ შეადარე, მზიანი დღეების რაოდენობა მეტია თუ ღრუბლიანი და წვიმიანი დღეების რაოდენობა ერთად?

12. გიორგი, ირაკლი, ბექა და ზურა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კალათბურთის კალათში ბურთის ჩაგდებაში. თამაშს აკვირდებოდა მათი მეგობარი ლილე და მონაცემები ჩაინიშნა ცხრილში:

სახელი	სულ ისროლა	ჩააგდო
გიორგი	10	10
ირაკლი	8	6
ბექა	12	3
ზურა	10	6

- ✿ ვინ მეტჯერ ისროლა ბურთი? ვინ მეტჯერ ჩააგდო კალათში?
- ✿ ყველაზე ცოტა ვინ ჩააგდო?
- ✿ თანაბარი რაოდენობის ბურთი ვინ ისროლა?
- ✿ ერთნაირი შედეგები ვის ჰქონდათ?